როგორ გავზარდოთ მოსწავლეთა კონფლიქტ სენსიტიური სწავლების პერსპექტივები

ავტორები: შუბითიძე ნინო, კობახიძე ნინო, ნიპარიშვილი ხატია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

ნაშრომის ხელმძღვანელი: პროფესორი, დავით მალაზონია

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

თბილისი 2021

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

აღვნიშნავთ, რომ აკადემიური წერის ფარგლებში ხდებოდა სიმულაციურ სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობა და ნაშრომის რიგი ნაწილები ატვირთულია E-learning-ზე

შუბითიძე ნინო

კობახიძე ნინო

ნიპარიშვილი ხატია

03.07.2021

აბსტრაქტი

კონფლიქტ–სენსიტიური სწავლების მიდგომების გამოყენება გავრცელებული პრაქტიკაა დასავლურ საგანმანათლებლო სისტემებში, რათა უკეთ იქნას დარეგულიებული პოსტკომფლიქტური სიტუაციები და, ასევე, ხელი შეეწყოს „მშვიდობის მშენებლობის“ პოლიტიკას საგანმანათლებლო პროგრამების დახმარებით. თუ საგანმანათლებლო სისტემა არ არის კონფლიქტ–სენსიტიური, მან შეიძლება ხელი შეუწყოს კონფლიქტის კვლავწარმოებას და გამწვავებას.

კონფლიქტ-სენსიტიური სწავლების მეთოდის დანერგვით კონფლიქტის მონაწილე მხარეებს შეუძლიათ მოახდინონ კონფლიქტის ტრანსფორმაცია და გადადგან ნაბიჯი შერიგებისკენ. კონფლიქტის ტრანსფორმაციის პრაქტიკა გულისხმობს, როგორც ფიზიკური დაპირისპირების დასრულებას აგრეთვე კონფლიქტის კვლავწარმოებისთვის ხელის შეშლას.

ჩვენი საკვლევი თემაა: როგორ გავზარდოთ მოსწავლეთა კონფლიქტ-სენსიტიური სწავლების პერსპექტივები.

პრაქტიკის კვლევის მიზანია მოსწავლეებში ქართულ–აფხაზური კონფლიქტის ცნობადობის ამაღლებით, კონფლიქტის ძირითადი ასპექტებისა და პოსტკომფლიქტური კონტექსტების მულტიპერსპექტიული შესწავლით ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში კონფლიქტ-სენსიტიური მიდგომის ინტეგრაციის პრაქტიკული გზების ძიება.

პრაქტიკის კვლევის ძირითად ამოცანას წარმოადგენს მოსწავლეებში ქართულ-აფხაზური კონფლიქტის შესახებ ცნობადობის ამაღლება და კონფლიქტის მულტიპერსპექტიული შესწავლით კონფლიქტ-სენსიტიური სწავლების ინტეგრირება სასწავლო პროცესში.

პრაქტიკის კვლევა ჩატარდა 2020-2021 სასწავლო წელს ქალაქ თბილისის კერძო სკოლა „თანამედროვე განათლების აკადემიაში“. კვლევა მიმდინარეობდა 6 თვის განმავლობაში. მასში ჩართულნი იყვნენ X და XI კლასის მოსწავლეები.

გამოყენებული იქნა კვლევის შერეული მეთოდი, კვლევა მოიცავდა, როგორც თვისებრივ მეთოდებს, როგორიცაა ინტერვიუ და ფოკუს ჯგუფი, ასევე რაოდენობრივის ელემეტებსაც დახურული კითხვარის სახით.

დიაგნოსტირების ეტაპზე გამოყენებული იქნა მოსწავლეთა კითხვარი და ინტერვუ საზოგადოებრივი მეცნიერების პედაგოგებთან. დიაგნოსტირების პროცესში გამოიკვეთა გარკვეული ცოდნისეული (ქართულ-აფხაზური კონფლიქტის შესახებ) და მეთოდოლოგიური (კონფლიქტ-სენსიტიური სწავლებისთვის დამახასიათებელი მიდგომების გამოყენების პრაქტიკის არ არსებობა) პრობლემები, აქედან გამომდინარე დაიგეგმა და ეტაპობრივად განხორციელდა ინტერვენციები.

ინტერვენციების დაგეგმის პროცესში, გვქონდა აქტიური კომუნიკაცია ქართულ–აფხაზური კომფლიქტის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაცია – „მშვიდობისა და სამოქალაქო განვითარების ცენტრთან“. განხორციელდა შემდეგი ინტერვენციები; შეხვედრა გიორგი ანჩაბაძესთან, შეხვედრა კავკასიური სახლის აღმასრულებელი დირექტორი – ვანო აბრამაშვილთან, შეხვედრა ეთნიკურად აფხაზ სტუდენტთან. აქტივობების მიზანი იყო: აფხაზეთის შესახებ ცოდნის გაღრმავება, კონფლიქტის გამომწვევი მიზეზების გააზრება, აფხაზი თანატოლების ცხოვრების წესის, როგორც მსგავსებების, ასევე განსხვავებების დანახვა.

ინტერვენციების განხორციელების შემდეგ მოსწავლეებმა განმეორებით შეავსეს დახურული კითხვარი. იგივე კითხვარი გამოვიყენეთ, რათა უკეთ შეგვძლებოდა პირველი და მეორე კითხვარიდან მიღებული მონაცემების შედარება, ანალიზი და შედეგების ინტერპრეტირება.

განმეორებითი კითხვარის მიზანი იყო გაგვეზომა, თუ რამდენად შეიცვლა კონფლიქტ-სენსიტიური პერსპექტივებისადმი მოსწავლეთა დამოკიდებულებები ჩვენ მიერ ჩატარებული ინტერვენციების შემდგომ.

სკოლის მოსწავლეებისთვის უფრო ადვილია მიკერძოებული შეხედულებების გადაფასება. მათ შეუძლიათ კონფლიქტ–სენსიტიური საგანმანათლებლო პროგრამის

მეშვეობით გაუმკლავდნენ წინა თაობის მიერ გადმოცემულ ნეგატიურ დამოკიდებულებებს და შეძლონ პოსტკომფლიქტური გარემოს გარადაქმნა, კონფლიქტის ტრანსფორმაცია და მშვიდობიანი გარემოს შექმნა.

Abstract

The use of conflict-sensitive learning approaches is a common practice in Western educational systems, It is used for better regulate of post-conflict situations And also tried to develop "build peace" policies with the help of educational programs. If the education system is not conflict-sensitive, it can contribute to the reproduction and aggravation of the conflict

Through the introduction of a conflict-sensitive teaching method opposing parties to a conflict can transform the conflict and take a step towards reconciliation. The practice of conflict transformation involves both, the end of physical confrontation also to prevent the resumption of the conflict.

Our research topic is: How to Increase Students Conflict-Sensitive Learning Perspectives.

The aim of the practice research is to raise the awareness of the Georgian-Abkhazian conflict among students, finding practical ways to integrate a conflict-sensitive approach into the general education system by study key aspects of the conflict and a multiperspective study of post-conflict contexts.

The main mission of the practice research is to raise students' awareness of the Georgian-Abkhazian conflict and to integrate conflict-sensitive learning into the learning process through multi-perspective conflict study.

Practice research was conducted in the 2020-2021 academic year at the Tbilisi Private School "Academy of Modern Education". practice research lasted for 6 months. It involved X and XI grade students.

We used a mixed method of research, the research included both qualitative research methods such as interview and focus group, as well as quantitative research elements such as a closed questionnaire.

At the diagnostic stage we used student questionnaires and interviews with social science teachers. At the diagnostic stage revealed Low level of Student knowledge About the Georgian-Abkhazian conflict, and methodological problems (lack of practice of using approaches typical for conflict-sensitive learning). Therefore, interventions were planned and implemented in stages.

In the process of planning the interventions, we had active communication with the non-governmental organization working on the issues of the Georgian-Abkhazian conflict- "Center for Peace and Civic Development". The following interventions were carried out; meeting with Giorgi Anchabadze, meeting with the Executive Director of the Caucasian House - Vano Abramashvili, meeting with an ethnic Abkhaz student. The purpose of the activities was: deepening knowledge about Abkhazia, understanding the causes of conflict, to see the similarities and differences in the lifestyle of Abkhazian peers.

After the interventions, the students filled in the closed questionnaire again. We used the same questionnaire to better compare, analyze, and interpret the data from the first and second questionnaires.

The purpose of the repeated questionnaire was to measure the extent to which students' attitudes toward conflict-sensitive perspectives have changed since our interventions.

It is easier for school children to re-evaluate biased views. They can deal with the negative attitudes of the previous generation through a conflict-sensitive education program and be able to transform the post-conflict environment, transform the conflict and create a peaceful environment.